

**ოქმი № 1**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის**

2019 წელი, 8 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე  
**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, გ.თოიძე, ვ.ნიჟარაძე, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.ნინიძე, თ.ბურჭულაძე, ლ.მგელაძე, შ.გოგიბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

**მომხს: გ.კილაძე**

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**მომხს: გ.კილაძე**

**თანამომხს: მ.გორგოშიძე**

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 26.33.23.103 შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 მ.კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხს: გ.კილაძე**

**თანამომხს: ი.ერქომაშვილი**

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 26.33.23.103 შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 მ.კვ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, თანამომხსენებელმა ი.ერქომაიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო არსებული ნაკვეთის ფოტოსურათები, აღნიშნა, რომ მასზე გაშენებულია კაკლისა და ვაშლის ხეები, ისაუბრა ერთ-ერთი პოპულარული სპორტის-კაიაკინგზე, რომელიც სამი წელია ტარდება ამ ტერიტორიაზე, მეტიც, შარშან ევროპის ჩემპიონატიც ჩატარდა, მომავალში აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მოეწყობა საგამოფენო სივრცე, მცირე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, საბავშვო ატრაქციონები. სამომავლოდ შესაძლებელია ველოსპორტის განვითარებაც და ყოველივე ეს განხორციელდება გრანტებით, ეს არ გახდება ერთი რომელიმე პიროვნების საკუთრება.

კამათის საგანი გახდა მიწის ნაკვეთი გაცემულიყო პირდაპირი განკარგვის თუ საჯარო პირობიანი აუქციონის წესით. კომისიის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა უკანასკნელს (7 მომხრე-4 წინააღმდეგი). კომისიის წევრ თ.ბურჭულაძის განცხადებით აუცილებელია იქ მცხოვრები მოსახლეობის აზრის გათვალისწინებაც.

კომისიის წევრ ნ.ორაგველიძის აზრით, მისასალმებელია აღნიშნული პროექტის განხორციელება.

საკრებულოს წევრ ლ.მგელაძის აზრით, პროექტი მოსაწონია, მაგრამ არის საშიშროება რომ პროექტი სხვა მიმართულებით წავა, ი.ერქომაიშვილმა განაცხადა, რომ ამ საკითხს გააკონტროლებენ მერიის შესაბამისი სამსახურები.

კომისიის წევრებმა განიხილეს საპრივატიზაციო ქონების ნუსხა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს სოფელ მაკვანეთის ტერიტორიაზე მდებარე 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნუსხიდან ამოღება. საკრებულოს წევრ ბ.თოიძის განცხადებით -სოფლის მოსახლეობა წინააღმდეგია ნაკვეთის გასხვისების.

კომისიის წევრებმა ასევე განიხილეს და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს კომისიაში შემოსულ კორესპოდენციაზე.

### **გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული: მუნიციპალიტეტის მერიისაგან წარმოდგენილი განკარგულების პროექტდან -“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“- ამოღებულ იქნას სოფელ მაკვანეთში მდებარე 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 26.33.23.103

შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 მ.კვ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ -პროექტში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი გასხვისდეს პირობიანი აუქციონის წესით.

გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე  
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია